საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მინისტრის N01-260/ო ბრძანების თანახმად „ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების“ სისტემისა და „ელექტრონული ჯანდაცვის“ მოდულების ინტეგრაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი #12

თბილისი, MOH, VIII **13.10.2015წ.**
19:30 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

<u>**დავით სერგეენკო**</u> - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი

სხდომას ესწრებოდნენ:

<u>**მიხეილ ჯანიაშვილი**</u> - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი

<u>**ვიტალი მინიაილო**</u> - გლობალ ალიანსი

<u>**ალექსანდრე კასატკინი**</u> - EMC, პროფესიული სერვისების დირექტორი

<u>**ალექსანდრე კუტიკოვი**</u> - EMC, პროექტის მენეჯერი

<u>**ალექსანდრე ლახტინი**</u> - EMC, სისტემური არქიტექტორი

<u>**ნიკოლაი მუსატოვი**</u> - EMC, ტექნიკური კონსულტანტი

<u>**მამუკა სონღულაშვილი**</u> - მინისტრის მრჩეველი

სხდომის დღის წესრიგი

„ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ელექტრონული სისტემის დანერგვის და საყოველთაო ჯანდაცვის მართვის ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრაციის განხორციელებისა და დანერგვის შესახებ პროექტის ფარგლებში პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრა, ჩატარებული სამუშაოს მოკლე ანგარიში და შუალედური პროდუქტის პრეზენტაცია.

1. EMC-ის წარმომადგენლებმა (**ალექსანდრე კასატკინი**, **ალექსანდრე ლახტინი**) ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს (**დავით სერგეენკო**) წარუდგინეს მიმდინარე სამუშაოების ანგარიში 2 ეტაპად:
    a. ზოგადი PowerPoint პრეზენტაცია
    b. ინტეგრირებული სისტემის დემონსტრაცია (Live demo)

2. დემონსტრაციის განმავლობაში **დავით სერგეენკომ** ყურადღება გაამახვილა და შეკითხვები დასვა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

    a. ელექტრონული რეცეპტები
    i. მინისტრმა იკითხა თუ ითვალისწინებს სისტემა ელექტრონული რეცეპტების იმპლემენტაციას, რის პასუხადაც **ალექსანდრე ლახტინმა** ახსნა მიმდინარე გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც უკვე დანიშნული პრეპარატები ავტომატურად დაიტანება არსებულ ბლანკზე.
    ii. დაისვა მომხმარებლების ავტორიზაციისა საკითხი, რაზეც აღინიშნა, რომ ავტორიზაცია მოხდება ტოკენების საშუალებით.
    iii. მინისტრმა დასვა დამატებითი ვერიფიკაციის საკითხიც (მაგალითად ბეჭდით), რაზეც **ალექსანდრე კასატკინმა** და **ალექსანდრე ლახტინმა** უპასუხეს, რომ საკითხს კიდევ დააზუსტებენ.
    iv. მინისტრმა აღნიშნა, რომ რეცეპტების პრიორიტეტულობის გამო, უკვე ამ ეტაპზე შეიძლება შეირჩეს რომელიმე საფთიაქო ქსელი ელექტრონული რეცეპტების სისტემის პილოტირებისთვის.

    b. მხარეების ჩართულობა პროექტში
    i. მინისტრი დაინტერესდა თუ არიან ჩართულები პროექტში სოციალური მომსახურების სააგენტოს (**SSA**) თანამშრომლები
        1. IT-ის წარმომადგენელმა (**მიხეილ ჯანიაშვილი**) აღნიშნა რომ არის კომუნიკაციის პრობლემა ენობრივი ბარიერის გამო.
        2. **„გლობალ ალიანსის“** წარმომადგენელმა (**ვიტალი მინიაილო**) აღნიშნა, რომ ამ კვირის ბოლოს უკვე ექნებათ შეხვედრები სააგენტოს წარმომადგენლებთან და ამ საკითხსაც გაივლიან.
    ii. მინისტრი დაინტერესდა თუ არიან ჩართულები პროექტში **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა** და **„გლობალ ალიანსის**" წარმომადგენლები"
        1. **მიხეილ ჯანიაშვილმა** და **ალექსანდრე კასატკინმა** უპასუხეს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები არიან ჩართულები პროექტში

2. **„გლობალ ალიანსის“** წარმომადგენელმა (**ვიტალი მინიაილო**) აღნიშნა, რომ იყო გარკვეული პაუზა, თუმცა მომავალი კვირიდან კვლავ აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში. ჩართულობა გამოიხატება რამდენიმე კომპონენტში:
    a. არსებული მაღალი რისკების მართვა:
        i. არასტანდარტიზირებული პროცესები
        ii. სრულყოფილი დოკუმენტაციის არარსებობა
        iii. სისტემის გაჩერების რისკები
    b. მიღება-ჩაბარების პროცესის კონსულტირება
        i. ტესტების სტანდარტიზაცია

3. შეხვედრის ბოლოს მინისტრის მრჩეველმა (**მამუკა სონღულაშვილი**) **EMC**-ისა და **IT**-ის წარმომადგენლებს აუწყა, რომ დადგა რეგიონული გადაუდებელი დახმარების ცენტრებისთვის სასწრაფო დახმარების პროცესის მართვის საკითხი, მათ შორის მანქანების GPS კონტროლი, საწვავის კონტროლი და სხვა. **ალექსანდრე კასატკინმა** აღნიშნა, რომ საწვავი კონტროლი მათი სფერო არაა, მაგრამ პაციენტების მართვის სხვა პროცესების ავტომატიზაციაში სიამოვნებით ჩართვებიან.

EMR პროექტის მენეჯერი

გიორგი ჯღარკავა